# I ივლისი

## 2009 ოთხშაბათი

დაბ. 21, 5.8-20; ფს. 33; მათ. 8, 28-34 I მ

## ვადაზე ადრე მოხვედი აქ ჩვენს სატანჯველად? (მათ. 8, 29)

როდესაც აღმოვაჩენთ,
რომ გვაღიზიანებს ან უარესი,
გვაფორიაქებს იესოს სიტყვა,
რომელსაც უნდა ჩვენი ცხოვრების მართვა,
სარწმუნო ნიშანია, რომ ბოროტის ტყვეობაში
ვართ და რომ არა ვართ თავისუფლები.
გმადლობთ იესო, რომ მოდიხარ
და უახლოვდები შენს ქმნილებებს,
რათა გაათავისუფლო იმისგან, რომელიც არის
ნამდვილი მტანჯველი და მწამებელი.

# 2 ივლისი

## 2009 ხუთშაბათი

დაბ. 22, 1-19; ფს. 114; მათ. 9, 1-8 1 მ

### გამაგრდი, შვილო, მოგეტევა შენი ცოდვები. (მათ. 9, 2)

ადამიანთათვის ცოდვების მიტევების მადლი, იესოსაგან მოტანილი ზეციდან არის ჩვენთვის სიმამაცის, დიდი სიყვარულისა და მამისადმი მადლიერების მიზეზი.
ხალხის რეაქციისაგან, რომელიც მოარულ დამბლადაცემულს ხედავს, როგორც მიტევების დამამტკიცებელ საბუთს, შეგვიძლია გავიგოთ ფასეულობა და ნაყოფი ამ ძღვენისა: „განცვიფრდა და ადიდებდა ღმერთს, რომელმაც ასეთი ხელმწიფება მისცა ადამიანებს“.

# 3 ივლისი

წმ. თომა მოციქული (დ)

# 2009 პარასკევი

ეფეს. 2, 19-22; ფს. 116; იოან. 20, 24-29 ს წ

## შენ მირწმუნე იმიტომ, რომ მიხილე.

(იოან. 20, 29)

წმიდა თომა მოციქულივით, ბევრს ენდომება,
რომ ჯერ იხილოს საკუთარი თვალებით
მკვდრეთით აღმდგარი იესო
და შემდეგ ირწმუნოს.
იესო კი ეცხადება როგორც მკვდრეთით
აღმდგარი და ცოცხალი მხოლოდ მათ,
რომელთაც აქვთ სიმდაბლე ერწმუნონ მათ,
ვინც პირადად შეიცნო იგი,
მითითებული გზის გავლისას:
,,ნეტარ არიან, ისინი რომელთაც
არ ვუნახივარ და მირწმუნეს“.

# 4 ივლისი

ნეტარი პიერჯორჯო ფრასატი (ნ.მ);
წმ. არჩილი, საქართველოს მეფე († 744) (ნ.მ)

## 2009 შაბათი

დაბ. 27, 1-5.15-29; ფს. 134; მათ. 9, 14-17 1 მ

## ახალ ღვინოს ახალ ტიკებში ასხამენ. (მათ. 9, 17)

იესო, შენ მე მთხოვ მივატოვო ყოველი ჩემი
სიხისტე, ყოველი ჩემი უსაფრთხოება
და დაჯერებულობა, ყველაფერი,
რასაც ვფიქრობ, რომ წარმოვადგენ.
შენ გინდა, რომ ჩემი გული გათავისუფლდეს
შენთვის, იქ სადაც შენ გინდა რომ იყოს
და როგორც შენ გსურს, ამ ახალი
სიცოცხლის ჩემთვის მინიჭებისათვის,
საჭიროა რომ მე გავხდე „ბავშვივით",
მაშინ ამავსებ შენი სიხარულით,
მაშინ ვიქნები შენი სიყვარულით აღვსილი.

# 5 ივლისი

რიგითი ჟამის XIV კვირადღე

2009 კვირა

ეზეკ. 2, 2-5; ფს. 122; 2 კორ. 12, 7-10; მარკ. 6, 1-6 II მ

## რა სიბრძნე აქვს მონიჭებული? (მარკ. 6, 2)

ჭეშმარიტად იესოს მოსმენისას ვპოულობ
ცხოვრებისა და მისი დანახვის ახალ სახეს,
და ახალ ურთიერთობებს პიროვნებებთან.
ასეთი სახე მშვიდობას იძლევა.
გმადლობთ, იესოს,
რომ მოხვედი ჩვენთან, ადამიანებთან!
შენ ხარ სიბრძნე ღმერთისა,
ვისაც ვუყვარვართ:
მინდა მოგისმინო, მინდა დაგემორჩილო.

# 6 ივლისი

## 2009 ორშაბათი

დაბ. 28, 10-22; ფს. 90; მათ. 9, 18-26 II მ

### გამხნევდი, ასულო, შენმა რწმენამ გადაგარჩინა. (მათ. 9, 22)

იესო ელაპარაკება სისხლმდინარე ქალს,
რომელიც მის მოსასხამს შეეხო.
მან იცოდა, რომ მხოლოდ ღმერთს შეეძლო
მისი განკურნება და განწმენდა: იმედს
იესოში ამყარებს აღიარებს რა მას ღმერთად.
იესო, თანალმობით აღივსება
და მას მიმართავს შვილივით.
დარწმუნებით მივეახლოთ იესოს,
თუნდაც ვიყოთ ცოდვაში. წმიდანთა დასსაც
შევთხოვოთ ვედრება ჩვენთვის.

# 7 ივლისი

## 2009 სამშაბათი

დაბ. 32, 23-33; ფს. 16; მათ. 9, 32-38 II მ

## ხალხის ბრბო რომ დაინახა, შეებრალა ისინი. (მათ. 9, 36)

ყოველდღე ბომბარდილებულები ვართ ახალი ამბებით უბედურებების შესახებ; ,,ღმერთი რომ ყოფილიყო... ასეთი რამეები არ მოხდებოდა“. ეს არის თავისთავადი დასკვნა ზოგიერთთათვის. იესოს მოყვარული კი, მამა ღმერთს მადლობას სწირავს მისი მოვლენისათვის ჩვენს შორის. იგი ხედავს და თანაგვიგრძნობს ჩვენი უბადრუკობის გამო, ჩვენი ცოდვების ნაყოფის გამო. იგი ყოველთვის აგზავნის თავისი ყანის წმიდა მუშაკებს, თავის თანაგრძნობის გამო, ჩვენს განსაკურნებლად ცოდვისაგან და სწორ გზაზე გასაყვანად.

# 8 ივლისი

## 2009 ოთხშაბათი

დაბ. 41, 55-57; 42, 5-7.17-24; ფს. 32; მათ. 10, 1-7 II მ

### რასაც გეტყვით, გააკეთეთ. (დაბ. 41, 55)

იოსების შესახებ ეგვიპტელთათვის
ფარაონისაგან ნათქვამი ეს სიტყვები,
იდენტურია იმ სიტყვებისა, რაც მარიამმა
უთხრა მსახურთ გალილეის კანაში.
აქ პური აკლდათ, იქ – ღვინო,
ორივე იესოს სიმბოლო.
ღმერთის მოყვარულსა და მოშიშს
მორჩილება დაამლევინებს
ყოველ სირთულეს ყოველთვის, ღღესაც
და საშუალებას მისცემს ხელახლა პოვოს
მშვიდობა და სიხარული.

# 9 ივლისი

## 2009 ხუთშაბათი

დაბ. 44, 18-21.23-29; 45, 1-5; ფს. 104; მათ. 10, 7-15 II მ

## მშრომელი თავისი საზრდოს ღირსია.

(მათ. 10, 10)

იესო მიავლენს თავის მოციქულებს
ღვთის სასუფევლის საქადაგებლად
და მოქცევისკენ მოსაწმობად.
მათ არ უნდა იზრუნონ საჭმელზე, სამოსზე,
რადგანაც ღმერთის ,,მუშაკები“ არიან!
რა თქმა უნდა, თვით ღმერთი
შემოსავს და დააპურებს.
არ არსებობს მასზე უკეთესი
სამუშაოს დამკვეთი!

# 10 ივლისი

წმ. გიორგი მთაწმინდელი
(† 744წ.) (მ)

2009 პარასკევი

დაბ. 46, 1-7.28-30; ფს. 36; მათ. 10, 16-23 II თ

## მაშ, იყავით გონიერნი. (მათ. 10, 16)

იესო მიავლენს რა წუთისოფელში
თავისიანებს თავისი საქმის გასაგრძელებლად
ადამიანის მსახურებისათვის, ეუბნება მათ:
„მე თქვენ გგზავნით როგორც ცხვრებს
მგლებს შორის; მაშ, იყავით გონიერნი,
როგორც გველნი, და უმანკონი,
როგორც მტრედნი".
უფალო იესო, მოგვმადლე სულიწმიდა, ნიჭები:
გონიერებისა, რჩევისა, გონებისა, სიბრძნისა.
ამგვარად გვეცოდინება შესაბამისად ვიმოქმე-
დოთ სიტუაციებში, რომელშიც აღმოვჩნდებით.

# 11 ივლისი

წმ.ბენედიქტე, ევროპის მფარველი
(დღ)

2009 შაბათი

იგავ. 2, 1-9; ფს. 111; იოან. 15, 1-8 ს თ

## მე ვაზი ვარ, თქვენ კი ლერწები.
(იოან. 15, 5)

დღეს პატივს მივაგებთ წმიდა ბენედიქტეს,
ევროპის მფარველს. იგი იმდენად იყო
შეერთებული იესოსთან და მამასთან ლოცვასა
და შრომაში, რომ დიდი მოსავალი მოიტანა
ღვთის სასუფეველში მთელ კონტინენტზე.
მისი სიბრძნისა და სიყვარულის გამო,
ბევრი შეუერთდა მას, როგორც სულიერი
შვილები და იპოვეს ჭეშმარიტი
სიცოცხლე იესო ქრისტეში.
წმიდაო ბენედიქტე, ილოცე ჩვენთვის!

# 12 ივლისი

რიგითი ჟამის XV კვირადღე

2009

კვირა

ამოს. 7, 12-15; ფს. 84; ეფეს. 1, 3-14; მარკ. 6, 7-13 III შ

## მისცა მათ ხელმწიფება უწმიდურ სულებზე. (მარკ. 6, 7)

იესოს მოწაფეები, აუწყებენ რა ღვთის სასუფეველს, ასევე უნდა წარმოაჩინონ იგი. ღვთის სასუფევლის დანახვა და დაგემოვნება ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი გათავისუფლებულია „არაწმინდა სულებისაგან“.

ირონიული ღიმილი, რომელიც გვეუბნება: „საბავშვო ზღაპრები“, ადგილს უთმობს იმ დარწმუნებულობას, რომ მოგვაღწია მამა ღმერთის სიყვარულმა.

სადაც იესოს მოწაფე გაივლის უნდა დარჩეს სასოება ღმერთის მამობრიობისადმი და სიხარული მისი გამარჯვების გამო სიკვდილზე.

# 13 ივლისი

2009 ორშაბათი

ეს. 1, 8-14. 22; ფს. 123; მათ. 10, 34-11, 1 III მ

## ვინც თქვენ მიგიღებთ, მე მიმიღებს.

(მათ. 10, 40)

გამაოგნებელია ეს სიტყვები.
ვინ იღებს იესოს? იღებს იგი, რომელიც მის
წარგზავნილებს იღებს, საბრალო ადამიანებს,
შეზღუდულებს თავიანთ უნარებში,
მაგრამ მისი სიტყვის მომტანებს.
იესოს მიღება არ ნიშნავს
მისი ხატისადმი მოწიწებას,
არამედ მისი ეკლესიის
სერიოზულად მიღებას!

# 14 ივლისი

წმ. კამილო დე ლელი; კამილიელთა ორდენის დამაარსებელი (ნ.მ.)

2009 სამშაბათი

გამ. 2, 1-15; ფს. 68; მათ. 11, 20-24 III მ

## რად სცემ შენს მოყვასს. (გამ. 2, 13)

მოსეს ამ შეკითხვით, ასევე იესო მიმართავს მათ, რომლებიც მას აწნავენ სილას. მას უნდა რომ მათ, და ჩვენ მათთან ერთად, გააცნობიერონ ის სული, რომელიც მათ აღძრავდა. ძალადობა, გამოხატული სიტყვებით, მდუმარებით ან ქმედებით, მუდამ აცხადებს ჩვენს მონობას ცოდვისადმი, თუნდაც თუ ვნიღბავთ სიკეთისკენ გამიზნულ ბოროტებად.

მოდი, უფალო იესო, და შთაღვარე ჩვენს გულში სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, მოთმინება, კეთილგანწყობა, სახიერება, ერთგულება, თვინიერება, საკუთარ თავზე ბატონობა.

# 15 ივლისი

წმ. ბონავენტურა (მ)

## 2009 ოთხშაბათი

გამ. 3, 1-6.9-12; ფს. 102; მათ. 11, 25-27 III თ

## ყოველივე ჩემი მამის მიერ გადმომეცა. (მათ. 11, 27)

იესო, სულით გახარებულმა, გააანდო
თავისი გულის საიდუმლო თავისიანებს.
მათ შეუძლიათ მთელი სასოებით
მენდნენ მას,
დარწმუნებულნი
რომ იესოსადმი მორჩილება
არის ჭეშმარიტი სიყვარული,
რომელიც ადამიანმა უნდა მიაგოს ღმერთს.

# 16 ივლისი

## 2009 ხუთშაბათი

გამ. 3, 13-20; ფს. 104; მათ. 11, 28-30 III მ

### მე მოგასვენებთ თქვენ. (მათ. 11, 28)

როდესაც დავიწყე იესოს მიყოლა,
ცოდვის მონა ვიყავი, მშიოდა სიყვარული
და მწყუროდა სამართლიანობა.
ჩემი გული მკვდარი იყო,
უძლური მოსმენისა და მორჩილებისა.
ვიყავი მარტო სული!
იესო, შენ მიმიღე და გამომიყვანე
ამ დამდაბლებიდან,
შენ გაათავისუფლე ჩემი მხრები ტვირთისაგან,
შენ დადექი ჩემს წინ, ვითარცა წინამძღოლი
და მოძრვარი და იქმენ ჩემს მოსვენებად!

# 17 ივლისი

2009 პარასკევი

გამ. 11, 10-12.14; ფს. 115; მათ. 12, 1-8 III მ

## აქ არის ის, ვინც ტაძარზე მეტია.

(მათ. 12, 6)

დიახ, იესო, მე მწამს
რომ შენ ხარ ადგილი,
სადაც შეგვიძლია შევხვდეთ
ჭეშმარიტ ღმერთს,
ვინც არის მამა და სიყვარული.
შენში ცოცხლობს მამა,
შენ ხარ ემანუელი,
ჩვენთან მყოფი ღმერთი.
შენ ცოცხლობ შენს მოყვარულებში
და მათ შორის.

# 18 ივლისი

## 2009 შაბათი

გამ. 12, 37-42; ფს. 135; მათ. 12, 14-21 III მ

## დიდძალი ხალხი მისდევდა მას და ყველა განკურნა. (მათ. 12, 15)

მწამს, რომ დღესაც შეუძლიათ
განკურნება მათ, რომლებიც მიჰყვებიან იესოს.
ნიჭი, რომელსაც იესო ანიჭებს ყველას,
რომლებიც მასთან არიან, არის ის ცვლილება,
რაც მათში ხდება,
ჭეშმარიტი განკურნება.
ვინც მიჰყვება იესოს აღარ არის საკუთარი
მუდამ ცვალებად გრძნობების მსხვერპლი,
არამედ იგი უყურებს თავის ხსნის კლდეს,
თავის ნუგეშისმცემელს.

# 19 ივლისი

რიგითი ჟამის XVI კვირადღე

2009 კვირა

იერემ. 23, 1-6; ფს. 22; ეფეს. 2, 13-18; მარკ. 6, 30-34 IV მ

## წამოდით მარტო თქვენ უდაბურ ადგილას და მცირედ მოისვენეთ.

(მარკ. 6, 31)

იესო ამ სიტყვებით მოგვმართავს
ოველ კვირადღეს, უფლის დღეს,
რათა მივიდეთ მასთან და ვპოვოთ
მოსვენება ჩვენი ცხოვრებისათვის:
„იგია ჩვენი მშვიდობა“.
ჩვენი მშვიდობიანი ყოფნით,
თვით იესოს შეუძლია მიუძღვნას
ასევე სხვებს თავისი მოსვენება!
ასე ხდება დღეს მოთხრობილი
სახარების ეპიზოდში.

# 20 ივლისი

2009 ორშაბათი

გამ. 4, 5-18; საგ. გამ. 15, 1-6; მათ. 12, 38-42 1 მ

## ნუ გეშინიათ. (გამ. 14, 13)

ვინც მიუძღვის ღვთის ხალხს,
იღებს შეწევნას ასევე ყველაზე ძნელ
და საშიშ მომენტებში.
თუკი მოუსმენს მის სიტყვას
და განმტკიცდება რწმენით,
თვით ღმერთი დაეხმარება
შიშზე გასამარჯვებლად
და იმედიან და სასოებით სიარულში
აღთქმული მიზნისკენ.

# 21 ივლისი

წმ. მირდატ მეფე, წამებული
(† 410) (ნ.მ)

## 2009 სამშაბათი

გამ. 14, 21-31; საგ. გამ. 15, 8-10.12.17; მათ. 12, 46-50 IV მ

მამა პავლე შჩეპანეკის მოხსენიება

## იხსნა უფალმა იმ დღეს ისრაელი ეგვიპტელთა ხელიდან. (გამ. 14, 30)

უფალი, როგორც აღუთქვა მოსეს, მოდის თავისი ხალხის დასახსნელად მეწამულ ზღვაზე აღსრულებული სასწაულით. გაჰყო ზღვის წყლები ორად, რათა ხალხი მშრალზე გასულიყო, ხოლო ეგვიპტის ჯარი, რომელიც მას მისდევდა, დაღუპულიყო ზღვის ზვირთებში. ეგვიპტის მონობისაგან ეს განთავისუფლება გახდა იმ ხსნის სიმბოლო, რომელიც ჩვენ გვჭირდება: ცოდვის მონობისაგან.

# 22 ივლისი

წმ. მარიამ მაგდალინელი (მ)

## 2009 ოთხშაბათი

ქებ. 3, 1-4 (ან: 2 კორ. 5, 14-17); ფს. 62;
იოან. 20, 1.11-18 IV თ

## ვიპოვე ჩემი სულის შეყვარებული.

(ქებ. 3, 4)

უფალი ახლოა მათთან ვინც მას მოუხმობს,
ვინც მას ეძებს სუფთა გულით:
იგი უცხადებს მათ თავის სიყვარულს!
იესო ქრისტე არის ის ვისაც
ერთგულად ვუყვარვართ,
როგორც ნეფეს დანიშნული:
იგი ღირსია იმისა, რომ ვეძიოთ
და შევიყვაროთყველაფერზე მეტად!

# 23 ივლისი

წმ.ბრიგიდა, ევროპის მფარველი (დ)

2009 ხუთშაბათი

ივდ. 8, 2-8 (I ტიმ. 5, 3-10); ფს. 10; ლუკ. 2, 36-38 (ან: მათ. 5, 13-16) ს თ

## დაქვრივების შემდეგ ყოველდღე მარხულობდა (ივდ. 8, 6)

ივდითმა ძველი აღთქმის ყელაზე დიდმა ქალმა პერსონაჟმა, მიიღო მარხვა, როგორც ლოცვის ფორმა, რათა ყოფილიყო ძლიერი და ერთგული თავის ქვრივობის მდგომარეობაში. მარხვა არის ღმერთისთვის მოსაწონი ლოცვა, რადგანაც მოიცავს არამარტო გულსა და სიტყვებს, არამედ ასევე მთელ ჩვენ სხეულს.

ვისწავლოთ მისგან მივუძღვნათ მარხვის რომელიმე ფორმა, როგორც ლოცვა, რომელიც უერთდება წმ.ბრიგიდას ვედრებას სახარებით განათებული ევროპული ხალხების შესაერთებლად.

# 24 ივლისი

წმ. ბორისი და გლები (ნ.მ)

2009 პარასკევი

გამ. 20, 1-17; ფს. 18; მათ. 13, 18-23 IV მ

## დაიცავი შაბათის დღე, რათა წმიდაჰყო იგი. (გამ. 20 ,8)

კარგი მამა კარგ ჩვევებს აძლევს შვილებს. ზეციერი მამა არის წყარო ჩვენი ცხოვრების ყოველი კარგი ორიენტაციისთვის. მას უნდა რომ იგი იყოს მშვიდი: ამიტომ გაძლევს საკურნებელ მცნებებს. იგი იცნობს ჩვენს შეჭმარიტ სიკეთეს! შაბათის დღე, ჩვენთვის ქრისტიანებისათვის არის კვირადღე, უნდა რომ ჩვენ დავაგემოვნოთ მოსვენების დღე, მასთან და ძმებთან ზიარებით.

მადლობა, მამაო კეთილო!

# 25 ივლისი

წმ. იაკობ მოციქული (დ); ღირსნი მამანი იოანე და გაბრიელ ათონელნი

2009 შაბათი

2 კორ. 4, 7-15; ფს. 125; მათ. 20, 20-28 ს წ

## ეს განძი ჩვენ გვაქვს თიხის ჭურჭლებში. (2 კორ. 4, 7)

განძი არის იესოს აღიარება უფლად და ღმერთად. ეს მადლი გულიდან გვაშორებს „საბურველს“, რომელიც გვაბრკოლებს წერილების შეცნობაში, როგორც იესოს, ღვთის ძის წინასწარმეტყველებისა. ეს „განძი“ დაცულია ჩვენს ადამიანობაში, დაავადებისგან განცდილში, მაგრამ ასევე იმ თვალსაზრისებისგან, რომლებიც ანგრევენ ეკლესიას. შევთხოვოთ წმ.იაკობს ლოცვა, რათა გვქონდეს ძალა ჩვენში დადებული განძის დასაცავად და გადასაცემად!

# 26 ივლისი

რიგითი ჟამის XVII კვირადღე

2009 კვირა

3 მეფ. 4, 42-44; ფს. 114; ეფეს. 4, 1-6; იოან. 6, 1-15 I მ

## მოაგროვეთ ნამუსრევი, რომ არაფერი არ დაიკარგოს. (იოან. 6, 12)

იესოს მადლი მუდამ უხვი და მისაწვდომია.
მისი ეკლესია იცავს და ანაწილებს მას!
ეკლესიაში ჩვენ ყველანი
იესოს ვემსახურებით,
და ასე ვხდებით კურთხევად
იმ სამყაროსათვის,
რომელიც ჩვენ გარსემო გვაკრავს.

# 27 ივლისი

## 2009 ორშაბათი

გამ. 32, 15-24.30-34; ფს. 105; მათ. 13, 31-35 I მ

**იგავებით გავხსნი ჩემს პირს.** (მათ. 13, 35)

იესოა ღმერთის ბაგეები!
გველაპარაკება მრავალგვარად:
ნიმუშებით, რჩევებით, განკურნებებით...
დღეს გვანიჭებს თავისი ვნების მადლით,
ნათელსა და ძალას შესაცნობად და მისაღებად
მუდამ უფრო მეტად სიცოცხლეს,
ვინც მოვიდა ჩვენთვის გადმოსაცემად.

# 28 ივლისი

წმ.ივლიტა და კვირიკე, დედა-შვილი, წამებულნი († დაახლ. 305წ.) (ნ.ძ.)

2009 სამშაბათი

გამ. 33, 7-11; 34, 5-9.28; ფს. 102; მათ. 13, 36-43 I მ

## უფალი ჩვენს შორისაა. (გამ. 34, 9)

მას შემდეგ რაც მოსემ მოუსმინა უფალს,
ვინც განუცხადა თავისი წმინდა
და მართალი განზრახვები,
სთხოვა მას დიდი თავმდაბლობით
ყოფილიყო თავის ხალხს შორის
თუნდაც ცოდვილის შორის!
დღეს ჩვენ ვტკბებით იესოს
თანყოფნით, ღმერთისა ჩვენს შორის
და ვეცადოთ ვიცხოვროთ შეერთებულებმა,
რათა მისი თანყოფნა გაცხადდეს.
იგი შეისმენს თავისი მვედრებლის ლოცვას.

# 29 ივლისი

წმ. მართა (მ)

2009 ოთხშაბათი

იგავ. 31, 10-13.19-20.30-31; ფს. 14;
იოან. 11, 19-27 (ან: ლუკ. 10, 38-42) I თ

## უფლის მოშიში ქალი ქებულია.

(იგავ. 31, 30)

ჭეშმარიტად საქებარია ის,
ვინც გულში ინახავს,
ღმერთის წმიდა მოშიშებას,
ანუ ღრმა სიყვარულს მის მიმართ.
ამ ნიჭისაგან იბადება
ნაყოფებით აღვსილი სიცოცხლე,
რომელიც ახარებს ახლოს მყოფებს.
წმიდაო მარიამ და ყოველნო
ღვთის წმიდანნო, ევედრეთ ჩვენთვის.

# 30 ივლისი

## 2009 ხუთშაბათი

გამ. 40, 16-21.34-38; ფს. 83; მათ. 13, 47-53 I მ

### გამოვლენ ანგელოზები და განაცალკევებენ ბოროტებს მართლებისაგან. (მათ. 13, 49)

აიტანო სარეველა, შეიყვარო მტრები, ილოცო მდევნელებისათვის, ესენია იესოს და მამის სიყვარულის ასპექტები. ღმერთმა დაადგინა, რომ ისინი, ვინც მას მიიღებენ დაცულნი იქნებიან საუკუნო სიცოცხლისათვის, სასიხარულო სიცოცხლისათვის, წარმოუდგენელი სიყვარულისა და მშვიდობისათვის. ისინი კი, ვინც უარყვეს ასეთი სიყვარული, გადაიყრებიან ვითარცა უსარგებლო და საზიანო რამ.

# 31 ივლისი

წმ. ეგნატე ლოიოლა (მ)

## 2009 პარასკევი

ლევ. 23, 1.4-11.15-16.27.34-37; ფს. 80; მათ. 13, 54-58 I თ

## და შებრკოლდნენ მის გამო. (მათ. 13, 57)

ნაზარეველები ხედავდნენ იესოს,
იცნობდნენ მას როგორც ხუროს ძეს,
და ახლა კი ხედავენ როგორც რაბინს,
მოწაფეებით გარშემორტყმულს.
სიახლეა, რომელსაც საკუთარი სოციალური
უპირატესობის თვალსაზრისით განიხილავენ...
რაც აბრკოლებს მათ მისი პირიდან გამოსული
ღვთის სიტყვის მიღებაში,
წმიდა წერილების განმარტება
და საკუთარი თავის გაცხადება ვითარცა მესიისა.
იესო უნდა წავიდეს,
ტოვებს რა მათ თავიანთ სიღატაკეში.